კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბაქარი გვაზავა

პოლიტიკური პროცესების თავისებურებები სამხრეთ კავკასიაში და რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები :

თამარ კიკნაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქეთევან შოშიაშვილი - ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები :

მაია კაპანაძე - ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ ფაკულტეტის ასოც. პროფესორი.

ქეთევან ჯოჯიშვილი - პოლიტიკის აკადემიური დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის, 31 იანვარს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: პეტრე მამრაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, არა მარტო გეოპოლიტიკურად, არამედ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი რეგიონია თანამედროვე მსოფლიოსათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ჩაკეტილი სივრცის სტატუსით ხასიათდებოდა. „ცივი ომის“ დროს გამეფებული იყო „ემპირიული“ მიდგომა ორ უდიდეს სახელმწიფოს აშშ-სა და სსრკ-ს ფონზე, რომლებიც ამ ტერიტორიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სამხრეთ კავკასიის რეგიონით დაინტერესება დაკავშირებულია 80-იანი წლების ბოლოსთან. „ცივი ომის“ დასრულებამ ხელი შეუწყო რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას. ასევე შეიცვალა რეგიონული პოლიტიკურ-ეკონომიკური ღირებულებები, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოების დაახლოებასა და ურთიერთგაგებას.

„ცივი ომის“ დასასრულმა გამოიწვია რეგიონის მკვეთრი ცვლილება. ჩაკეტილი სისტემა ტრანსფორმირდა ღია ქვე-სისტემად, რომელშიც იგულისხმება მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკური სისტემაც. რეგიონს აღუდგა უძველესი დროიდან მინიჭებული ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სტატუსი. სამხრეთ კავკასიის რეგიონმა შეიძინა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის იმიჯი.

სამხრეთ კავკასიის ფაქტორის აქტუალიზაციას ადგილი აქვს არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. უფრო მძაფრად დგება საკითხი აქ მოქმედი აქტორების, ერების გაუცხოებისა და ანტაგონისტური პროცესების განვითარების. ტენდენციათა საპირწონეს შეადგენს რეგიონის მძლავრი რესურსული პოტენციალი (მათ შორის, ენერგომატარებლის ფაქტორი). ეს კი, თავის მხრივ, მთლიანად რეგიონულ დონეზე კეთილდღეობასა და ეკონომიკურ აღორძინებას განაპირობებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა შეძლეს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათ განსაზღვრეს ერთმანეთისაგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკის კურსი.

აღნიშვნის ღირსია საქართველოს მყარი პოზიცია და მოსახლეობის უმრავლესობის ნება ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისაკენ. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა ცდილობს გადადგას ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები. საქართველომ დასავლეთისაკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც იგი ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა. შემდგომი ნაბიჯი გახლდათ 1994 წელი, როდესაც საქართველო ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეუერთდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს დიდი დრო დასჭირდა მტკიცე ნების გამოსახატავად სრულუფლებიან წევრობაზე.

როგორც ყველასათვის ცნობილია, რუსეთი ხშირად მიმართავს დაშინების პოლიტიკას. ენერგო რესურსების გამოყენებით ზეგავლენას ახდენს ქვეყანათა საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე. სომხეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში დიდი როლი ითამაშა ენერგო რესურსებმა. ამ უკანასკნელის სიმცირისა და დროთა განმავლობაში დაგროვილი ვალების გამო, სომხეთი იძულებული გახდა რუსეთისათვის სტრატეგიული ობიექტები გადაეცა. შედეგად მივიღეთ სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდა ენერგო რესურსები. ამის კარგი მაგალითი გახლდათ 2013 წელი, როდესაც სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რაშიც თავისთავად იგულისხმებოდა უარი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზეც“ (DCFTA). სომხეთი შეურთდა რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსიის საბაჟო კავშირს. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ იმდროინდელ სომხეთის მთავრობას არ სურდა რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანება.

იმ გლობალური ძალების გზაჯვარედინზე, რომელზედაც აზერბაიჯანი იმყოფება, მისი საგარეო პოლიტიკური მიზნები არც თუ ისე მარტივად მიიღწევა. ნავთობისა და გაზის უმნიშვნელოვანესი მარაგის წყალობით, აზერბაიჯანი ახერხებს ეკონომიკის გაძლიერებას. პრიორიტეტად იქცა ინფრასტრუქტურისა და თავდაცვის პროექტები. მიუხედავად ამისა, სომხეთთან კონფლიქტმა აზერბაიჯანს დაანახა ის საჭიროება, რასაც პარტნიორი სახელმწიფოები ჰქვია.

განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსის მიუხედავად, სამივე ქვეყანა მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკურ არეალში. რეგიონის მთავარ აქტორებს წარმოადგენენ რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, თურქეთი, ირანი. საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტირუად არიან ჩაბმულნი ინტეგრაციის პროექტების განხორციელებაში. თითოეულ მათგანს თავიანთი ინტერესები გააჩნიათ

რეგიონისადმი. ინტერესთა ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ენერგოდერეფანი წარმოადგენს. ენერგოდერეფნის სტატუსის შემოღება ძირითადად დაკავშირებულია ევროპული სახელმწიფოების ალტერნატიული გზების მოძიებასთან. 1990-იან წლებში გაჩნდა იდეა, რომლის მიხედვითაც, ევროპა უნდა მომარაგებულიყო ალტერნატიული მილსადენებით, რომელშიც იგულისხმებოდა, თურქეთის გავლით, ევროპაში ახლო აღმოსავლეთისა და კასპიის რეგიონიდან გაზის იმპორტი. კასპიის რეგიონში სავარაუდო ქვეყნებს წარმოადგენდნენ თურქმენეთი და აზერბაიჯანი, ხოლო ახლო აღმოსავლეთიდან - ერაყის ქურთისტანის ტერიტორია. 2008 წლისათვის ამ იდეაზე საუბარი უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა და სწორედ ეს გახდა მიზეზი სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის დერეფნის სტატუსის მინიჭებისა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები მიისწრაფიან მშვიდობიანი და სწრაფი განვითარებისაკენ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსათვის „ცხინვალის რეგიონსა“ და აფხაზეთში, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიან ყარაბაღში, წარმოიშვა კონფლიქტები. ამ ყველაფერმა კი, უდიდესი საფრთხე შეუქმნა რეგიონს სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონფლიქტის წინაპირობა უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროსაც ფიქსირდებოდა. რუსეთის მთავრობა კი ყველანაირად ცდილობდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაშორებას ევროპულ ოჯახთან. ნაციონალური შოვინიზმის ჩამოყალიბება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლით იყო განპირობებული, ხელი შეუწყო მისი ნგრევის ძალისმიერ მეთოდს. ეს ყველაფერი კი მკაფიოდ აისახა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ხასითდება თავისი განსაკუთრებული და განსხვავებული მოვლენების დინამიკურობით. ეს გარემოებები კი ამ რეგიონს უმნიშვნელოვანესი რეგიონის სტატუსს ანიჭებს. სტატუსი კი თავისთავად სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა გადაკვეთის გამომწვევი მიზეზია. ამ რეგიონს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც დერეფანს, რადგან ამ ადგილას თავს იყრის სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ინტერესები. ეს ყველაფერი კი მოქმედებს, როგორც კავკასიის რეგიონზე ასევე, მთელ ტრანსნაციონალურ მოვლენებზე. რეგიონისათვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სტაბილური განვითარება და მშვიდობა. მშვიდობაზე საუბრისას კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ

მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა მიაღწიონ მჭიდრო თანამშრომლობას.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, მიუხედავად მათი განსხავავებული საგარეო პოლიტიკისა, ხშირ შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესები დასავლეთთან მიისწრაფვის. დიდი ინტერესის მატარებელი ეს რეგიონი, მსოფლიოს დიდი მოთამაშეების ყურადღების ცენტრს წარმოადგენს. რეგიონის გავითარებასა და სტაბილურობაზე ზეგავლენას ახდენს, როგორც რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესები, ასე მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. ეს ყველაფერი კი, მათთვის უდიდეს გამოწვევად იქცა. მსოფლიოში მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში ვითარება განსაკუთრებულად იცვლება, რომელიც, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონსაც ეხება.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, თუ როგორ და რანაირად მოახერხებს ამ რეგიონის ქვეყნები საერთაშორისო ინტეგრაციას, რომელიც რეალურად რომ ვთქვათ, არც ისე ახლო მომავალშია შესაძლებელი. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა სწრაფად და ეფექტურად უნდა უპასუხონ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია, დეტალურად გავაანალიზოთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ნათლად დავინახოთ მისი მნიშვნელობა ევროპული გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებასა და თანამედროვე რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებში. წარმოვაჩინოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური ტრანსფორმაცია, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა და გავავლოთ პარალელი საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებთან.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს:

- ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლის განსაზღვრა;
- რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები;
- რეგიონში მოქმედი აქტორების ინტერესები და ევროკავშირის როლი რეგიონში მიმდინარე პროცესებზე;
- ნატოს, როგორც სამხედრო - პოლიტიკური ორგანიზაციის, დამოკიდებულება რეგიონის მიმართ;
- ირანის, თურქეთისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

საკვლევი კითხვები:

- რა ინტერესები გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში რეგიონის მსხვილ მოთამაშეებს?
- რა სახის გამოწვევები და პერსპექტივები არსებობს სამხრეთ კავკასიის რეგიონული განვითარებისა და ინტეგრაციისათვის?
- რამდენად ეფექტურად არის ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში?

ჰიპოთეზა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ქვეყნებს წარმოადგენენ. მიუხედავად მათი საგარეო პოლიტიკის განსხვავებული ვექტორისა და სამხრეთ

კავკასიით მსხვილი აქტორების დაინტერესებისა, ამ ქვეყნებს შორის რეგიონული ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა მრავალწილად დამოკიდებულია ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებაზე, სავაჭრო ეკონომიკური და გლობალური სატრანზიტო პოტენციალის ერთობლივ გამოყენებაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში რეგიონული ინტეგრაციის შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიაში, არსებული პოლიტიკური პროცესების თავისებურებები და პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებასა და თანამედროვე რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

კვლევის ობიექტია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების თავისებურებები და რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, აღნიშნული პრობლემის კვლევითი ნაშრომის სახით წარმოდგენის ცდა ქართულ პოლიტიკურ სამეცნიერო სივრცეში, რომელშიც კომპლექსურადაა დამუშავებული რიგი პრობლემები, მათ შორის :

- სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პროცესებისა და ინტეგრაციის შესაძლებლობების ისტორიული ჩარჩო;

- განისაზღვრა კავკასიის რეგიონის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში;
- წარმოჩინდა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პირობებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დინამიკა;
- დადგინდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ვექტორებსა და რეგიონულ ინტეგრაციას შორის კორელაცია
- გამოვლინდა და შეფასდა სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ახალი აქტორები
- სამხრეთ კავკასიის ინტეგრაციის თანამედროვე რისკებისა და გამოწვევების ანალიზი და ავტორისეული ინტერპრეტაცია.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე ისტორიული წყაროები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშა საკვლევი საკითხის საფუძვლიანად შესწავლაში. ნაშრომი ეფუძნება ქართულენოვან, ინგლისურენოვან და რუსულენოვან სამეცნიერო წყაროებს (სტატიები,მონოგრაფიები, წიგნები და ა.შ.). წყაროებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი საკვლევ თემასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. ნაშრომზე მუშაობისას განხილულ იქნა განსხვავებული თეორიები, მეცნიერთა ნაშრომები, რომლებმაც ზეგავლენა იქონია საკვლევი საკითხის სხვადასხვა მიმართულებით განხილვაში.

საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში გამოყენებულია შემდგომი თეორიები :

„ძალთა ბალანსის თეორია" - ძალთა ბალანსის თეორია საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ უძველეს თეორიას მიეკუთვნება. რეალისტები ამ თეორიის მიხედვით, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობათა თავისებურებებს. ანარქიული ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც

ახასიათებს საერთაშორისო სისტემას, თითოეული სახელმწიფო იბრძვის გამორკვევისა და თვითგადარჩენისათვის.

„ჰეგემონური სტაბილურობის თეორია“ - თეორია, რომელიც ეხება ჰეგემონიის როლისა და ფუნქციის განსაზღვრას, მეცნიერთა და მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრებები წარმოჭრა. თუმცა, იგი შესაძლოა ორ მიმართულებად დაიყოს. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მსოფლიო წესრიგისა და სტაბილურობისათვის აუცილებელია ჰეგემონის არსებობა. ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ არასწორია ყოველგვარი მცდელობა, რომელიც მიმართულია ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოზე დომინანტური მდგომარეობის მოპოვებაზე.

„მიტმასნებისა და დაბალანსების თეორიის“ თანახმად, იგი ძირითადად სუსტი სახელმწიფოების სტრატეგიას წარმოადგენს. მიტმასნება გულისხმობს, შედარებით სუსტი სახელმწიფოს ძლიერ ალიანსში შესვლას. ამ სტრატეგიით იგი ცდილობს სასურველი შედეგის მიღებას. მიტმასნების ძირითადი არსის განსახილველად შეგვიძლია ცნობილი თუკიდიდეს სიტყვები მოვიშველიოთ - „ძლიერი ყოველთვის იღებს სასურველს, ხოლო სუსტს არაფრის შეცვლა არ შეუძლია“. რეალიზმის თეორიიდან გამომდინარე, მიტმასნება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც სახელმწიფოს სხვა ალტერნატივა არ რჩება. იგი ვერ ახერხებს არსებული პრობლემების დაბალანსებასა და მოგვარებას. ამ თვალსაზრისით იგი ერთგვარად სახიფათო სტრატეგიაცაა, რადგან ერთ-ერთი მხარე შედარებით უფრო ძლიერი ხდება. მიტმასნება ეწინააღმდეგება დაბალანსების თეორიას.

„უსაფრთხოების თეორია“ წარმოადგენს ქვეყნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ქვეყნის უზენაეს ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების უზრუნველყოფილი განვითარება. საერთაშორისო სისტემის კონტექსტში უსაფრთხოება გულისხმობს რისკების, საფრთხეების, საშიშროებებისა და გამოწვევებისაგან თავდაცვისუნარიანობას. მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური

მოვლენების ფონზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ეს საკითხი დღის წესრიგში უდგათ. **საერთაშორისო სისტემაში სამეცნიერო კვლევის სპეციფიკურ ობიექტს წარმოადგენს ცნება „პატარა სახელმწიფოების“ შესახებ, რომელსაც განიხილავენ** მესამეხარისხოვან ქვეყნებად. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს მათი არამდგრადი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. პატარა ქვეყნების მდგომარეობა არასდროს იყო სახარბიელო. თუმცა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მათთვის შედარებით უკეთესი პერიოდი დადგა. როდესაც იმპერიები და კოლონიები დაიშალა, პატარა სახელმწიფოების რიცხვმაც იმატა. დღესდღეობით ასეთი პატარა ქვეყნების უმეტესობას საერთაშორისო ორგანიზაციები მფარველობენ. ხელს უწყობენ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში. მაგრამ, ასევე არსებობენ პატარა სახელმწიფოებიც, რომლებიც თავიანთ რეგიონში საკმაოდ კონკურენტუნარიან ძალას წარმოადგენენ. ამის საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია ისრაელი მოვიყვანოთ.

კვლევის მეთოდები

კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოვიყენეთ **თვისობრივი კვლევის მეთოდი**, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპოდენტებად შევარჩიეთ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები, რომელთა დახმარებით, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მივიღეთ განსხვავებული და ამომწურავი ინფორმაცია. ექსპერტთა აზრები ერთამანეთს მეტ-ნაკლებად დაემთხვა. მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომისთვის.

- **ისტორიულ-აღწერილობითი** - ისტორიული ანალიზის საფუძველზე შესწავლილი იქნა სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

- **მონაცემთა ლიგიკური ანალიზი და შედარება.** ეს მეთოდები დაგვეხმარა თანმიმდევრულად განგვეხილა სამხრეთ კავკასიაში არსებული რეალობა. ხაზი გავუსვით რეგიონის გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და მის მიმზიდველობას ისეთი დიდი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გვხვდებიან რეგიონზე საუბრისას.
- **შედარებითი ანალიზის** მეთოდით მოვახდინეთ ფაქტებისა და განვითარებული მოვლენების ერთმანეთზე შედარება. შევადარეთ და განვიხილეთ დასავლეთისა და აღმოსავლეთ სახელმწიფოების ინტერესები რეგიონისადმი.
- **კონტენტ ანალიზი** - შესწავლილი იქნა სხვადასხვა დოკუმენტი, რის შედეგად მოვახდინეთ ლიგიკური დასკვნების გაკეთება
- **შემთხვევების შესწავლა (Case study)** - კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი გახლდათ შეგვესწავლა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ურთიერთობების თავისებურებები და რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსსა და კონფლიქტოლოგს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამავე დროს, ნაშრომი გამოყენებული იქნება პოლიტიკის მიმართულებით მომუშავე სახელისუფლო ორგანოებისა და კონფლიქტების სფეროში მოღვაწე უწყებების წარმომადგენლების მიერ. ამასთან ერთად, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს ქართული მასმედიის, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ საშუალებებში მოღვაწე

ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც აშუქებენ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს. კვლევის შედეგად შემუშავებული იქნა სპეციალური სახის რეკომენდაციები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო თემის კვლევისთვის გავეცანით ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებს, თეორეტიკოსთა მოსაზრებებს და ექსპერტთა დასკვნებს. გამოვიყენეთ, როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროები. წყაროთა პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ პოლიტიკის მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული სამეცნიერო შრომები. ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ნაშრომებზე, რომელიც პატარა ქვეყნებისა და რეგიონული საკითხების კვლევას ეხება. მეორადი წყაროები კი ეფუძნება ისეთ ინფორმაციას, რომლებიც გამოქვეყნებულია სტატიებსა და პუბლიკაციებში. პირველადი და მეორეული წყაროების გამოყენების მიზანს წარმოადგენდა საკითხის უკეთ შეფასება და გაანალიზება. მოპოვებული უამრავი მასალის მეშვეობით შევძელით საკვლევ კითხვებზე განსხვავებული ინფორმაციების მოძიება და შეფასება.

- **„სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“- ასათიანი მ. – 2014**

წიგნში წარმოჩენილია, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობები. ნაშრომში ნათლად არის განხილული თითოეული ქვეყნის მდგომარეობა გეოპოლიტიკურ ჭრილში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს, არა მარტო პოლიტიკურ მიმართულებაზე, არამედ,

სამოქალაქო საზოგადოების განვიათარებაზეც. წიგნში განხილულია ასევე პოსტ-საბჭოთა მოდერნიზაციის პერიოდიც.

- **„სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე“ - ადალდაშვილი ბ. – 2010**

ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. აკეთებს ანალიზს რეგიონის დიდი მოთამაშეების თურქეთისა და ირანის პოზიციებზე. ყურადღება გამახვილებულია, სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე.

- **„როგორ მიდის გარდამავალი პროცესები : აშშ, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთ კავკასია“ - მიჩელი ლ. – 2014**

ნაშრომში დეტალურად არის განხილული სამხრეთ კავკასიის რეგიონის სპეციფიკა. ავტორი სიღრმისეულ ანალიზს აკეთებს იმ სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას არამარტო რეგიონის ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიო.

- **„დასავლეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიისთვის“ - კორნელი ს. – 2015**

ნაშრომში ავტორი სთავაზობს ევროკავშირს, არ გამოიყენოს ტრადიციული მეთოდები სამხრეთ კავკასიას რეგიონში. ავტორის აზრით, მიდგომა საქართვლოსთან მიმართებაში უნდა შეიცვალოს. ევროკავშირმა უნდა გადახედოს თავის მიდგომებსა და სტერეოტიპებს, რომლებიც რეგიონს ხელს უშლის ევროპული პერსპექტივის განხორციელებაში.

- **„სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“ - კომახია მ. – 2017**

აღნიშნულ მასალაში ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგოდერეფნის სტატუსის არსებობაზე. ავტორის მიერ მიღებული დასკვნებით, სამხრეთ კავკასიის ენერგოდერფანი ხელს შეუწყობს რეგიონის ქვეყნებს განვითარებაში. ნაშრომში ნათლად არის ასახული პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე არსებული მდგომარეობა. ხაზს უსვამს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებს. მიმოხილულია აზერბაიჯანის როლის შესუსტება საბჭოთა პერიოდში და რუსეთის იმპერიის, როგორც მთავარი მოთამაშის, ინტერესების განხორციელება.

- **„გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“ - ისმაილოვი ე., პაპავა ვ. – 2007**

ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკური ფუნქციები გლობალიზაციის პირობებში. გამოკვლეულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში არსებული პრობლემები.

- **„საერთაშორისო პოლიტიკა“ - არტი რ., ჯერვისი რ. – 2011**

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნაშრომში განხილულმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ეკონომიკამ და გლობალიზაციამ. წიგნში ცალკე თავებად არის მოცემული პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივების , გლობალიზაციის ბუნებისა და გლობალიზაციის კრიტიკის მიმოხილვა.

- **„პოლიტოლოგია“ - ჩიტაძე ნ. -2016**

წიგნში „პოლიტოლოგია“ ავტორი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პოლიტიკის თეორიები და მათი სისტემები. ნაშრომში ერთ-ერთი თავი ეთმობა პოლიტიკურ კონფლიქტებს, სადაც განხილულია საქართველოში არსებული კონფლიქტები.

- **„მსოფლიო წესრიგი“ - კისინჯერი ჰ. 2020**

ჰ.კისინჯერის ეს ნაშრომი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ავტორი დეტალურად აღწერს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და მიდგომებს. იგი მსოფლიო წესრიგს ოთხ ძირითად ნაწილად ჰყოფს. ესენი გახლავთ: ევროპული, აზიური, ისლამური და ამერიკული კონცეფციები. ჰ. კისინჯერი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი. სწორედ მისი გაკეთებული დასკვნებით, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-მ უნდა ითავოს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება. ამით კი ის ხაზს უსვამს იმას, რომ მსოფლიო საზოგადოებამ უნდა აღიაროს აშშ-ს ჰეგემონია. ავტორი აშშ-ს მიიჩნევს ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია იყოს გარანტი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის განვითარების კუთხით. საბოლოოდ, კისნჯერი აშშ-ს წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოდ, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში.

- **„ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“ - ისმაილოვი ე., პაპავა ვ. – 2007**

ნაშრომში განხილულია, სამხრეთ კავკასიის რეგიონის, გლობალიზაციის პირობებში მიმდინარე გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური პროცესები. მონოგრაფია მოიცავს, კავკასიის ინტეგრაციასა და მის კონცეფციებს. მასში ნათლად არის გამოკვეთილი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებანი.

- **„ევროკავშირის პოლიტიკა“ - კაპანაძე ს., ჩიტაიშვილი მ. – 2006**

აღნიშნული ლიტერატურა წარმოადგენს სალექციო კურსს, რომელიც მიმოიხილავს ევროკავშირის პოლიტიკას, მის სტრუქტურებსა და რეგიონულ პოლიტიკას.

- **„China's Massive Belt and Road Initiative“ – Chatzky A., Mcbride J- 2020**

აღნიშნული ნაშრომი ეხება „ახალი აბრეშუმის გზის“ შექმნის იდეას. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა : უძველესი აბრეშუმის გზა, ჩინეთის გეგმები და მოლოდინები ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- **„Analysing Foreign Policy“ – Sukhwant B. – 2019**

სტატია აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სფეროს ევოლუციას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და განმარტავს, თუ რატომ გაჩნდა საგარეო პოლიტიკა, როგორც კვლევის ცალკეული სფერო საერთაშორისო ურთიერთობათა ჩარჩოში.

- **„Politics amon Nations: The Struggle for Power and Peace“ – Hans J. Morgenthau – 1965**

ეს კლასიკური ნაშრომი დიდ დროს უთმობს საერთაშორისო პოლიტიკის განხილვას, როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლას. მორგენთაუს წიგნში მრავლად არის მოყვანილი მაგალითები ისტორიიდან. იგი იკვლევს ძალაუფლების ბუნებასა იმპერიალიზმს. ყურადღებას ამახვილებს ეროვნული ძალაუფლების არსსა და ელემენტებზე.

- **„Understanding International Conflicts: An Introduction to Theory and History“ – Joseph. S. Ney, Jr**

საერთაშორისო კონფლიქტების გაგება არის მოკლე და გამჭვირვალე შესავალი მსოფლიო პოლიტიკის შესწავლაში. ავტორი იყენებს ისტორიისა და თეორიის ერთობლიობას, საერთაშორისო აქტორებს შორის კონფლიქტისა და თანამშრომლობის შესაფასებლად.

- **„Regional Security in the South Caucasus: The Role of Nat“ – Svante E. Cornelll, Roger N. Mcdermott, William O malley, Vladimir Socor, S. Frederick Starr - 2004**

დოკუმენტი იკვლევს, სამხრეთ კავკასიის არსებულ უსაფრთხოებას. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცა : უსაფრთხოების დეფიციტი სამხრეთ კავკასიაში, გეოპოლიტიკური ინტერესები და მრავალმხრივი უსაფრთოხება, სამხედრო ვითარება სამხრეთ კავკასიაში, დასავლური უსაფრთხოების დახმარება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის, პარტნიორობის როლი. აქვე წარმოდგენილია რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის.

- **„The Grand Chessboard: American Primacy And Its Geostrategic Imperatives“- Zbignew Brzezinski -1998**

ზემოთ ხსენებული ნაშრომი წარმოადენს ავტორის გაბედულ და პროვოკაციულ გეოსტრატეგიულ ხედვას ამერიკის უპირატესობის შესახებ ოცდამეერთე საუკუნეში. ნაშრომის ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძალაუფლების განხორციელების განხილვას ევრაზიის კონტინენტზე, სადაც არის მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური აქტივობა.

- **„საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამი პარადიგმული ნაშრომი - რიჩარდ სნაიდერი - ჯეიმს როზენაუ - ჰაროლდ და მარგარეტ სპრუტები“**

რიჩარდ სნაიდერი - რიჩარდ სნაიდერი გახლდათ საგარეო პოლიტიკის ანალიზის პიონერი. იგი თავის ნაშრომში ფოკუსირდა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, როგორც თავისთავად განმარტების ნაწილზე და არა, უბრალოდ, საგარეო პოლიტიკის შედეგებზე.

ჯეიმს როზენაუ - ავტორის აზრით, „საგარეო პოლიტიკა შექმნილია შიდა და გარე ფაქტორების მიერ, არ ნიშნავს, გაიგო, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ან მიუთითო კონდიციები, რომლის პირობებშიც ერთი ბატონობს მეორეზე... საგარეო პოლიტიკის ანალიზს აკლია შემოწმებადი განზოგადებების სრულყოფილი სისტემები“

ჰაროლდ და მარგარეტ სპრუტები - ჰაროლდ და მარგარეტ სპრუტებმა გამოკვეთეს ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღების ფსიქოლოგია. თავიანთ ნაშრომში ისინი აღნიშნავენ, რომ საგარეო პოლიტიკა

შეიძლება განიმარტოს მხოლოდ გადაწყვეტილების პროცესში ჩართული ინდივიდების ფსიქოგარემოსთან კავშირით.

- **„დიდი საჭადრაკო დაფა - ზბიგნევ ბჟეზინსკი“** - ნაშრომი, რომელიც მსოფლიო კლასიკად არის აღიარებული, ავტორი არ მალავს თავის დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. იგი აშშ-ს მოუწოდებს დიდ საჭადრაკო დაფაზე თავისი პოზიციების შენარჩუნებისაკენ. ამის მისაღწევად კი, სწორი ნაბიჯებისა და გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო.
- **„გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში - ჯ. მოდელსკი“** - ჯ. მოდელსკის აზრით, კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში ჰეგემონიის ხუთი პერიოდი გამოიარა. იგი ძირითადად გამოწვეული იყო მსოფლიოში დაუსრულებელი ომებითა და ძალთა ბალანსის გადანაწილებით. თავის ნაშრომში, მოდელსკი, გამოყოფს ხუთ ჰეგემონ სახელმწიფოს, რომლებიც თავიანთი სიძლიერის პერიოდში ერთ-ერთ უმთავრეს ძალას წარმოადგენდნენ. პირველი ეს გახლავთ XVI საუკუნის პორტუგალია, მეორე სახელმწიფო არის ნიდერლანდები - XVII საუკუნე, მესამე დიდი ბრიტანეთი - XVIII და XIX საუკუნეების განმავლობაში და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები - XX საუკუნე. ჯ მოდელსკი ემიჯნება ანარქიულ ხასიათს და მიაჩნია, რომ კრიზისი და არასტაბილური მდგომარეობა ხელშემწყობი პირობებია ახალი ჰეგემონის ჩამოყალიბებისათვის.
- **„ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი - ფ. ფუკუიამა“ –** ამ ნაშრომში ფუკუიამამ განიხილა ისტოორიის დასასრულის კონცეფცია. ავტორის აზრით, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებამ, რომელიც „ცივი ომის“ დასასრულს მოჰყვა, შესაძლებელია მაჩვენებელი იყოს „ადამიანური მმართველობისა და ადამიანთა სოციო-კულტურული განვითარების საბოლოო წერტილის“.
- **„გეოპოლიტიკის საფუძვლები - ა. დუგინი“** - ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გეოპოლიტიკის მეცნიერულ დონეზე შესწავლა. დუგინი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას ურთიერთობათა ჭრილში ერთმანეთს უტოლებს და ამბობს, რომ ისინი თანაბრად, როგორც მტრები, ასევე მეგობრები არიან. ორივე მათგანი გამოკვეთილად იბრძვის გავლენების სფეროების მოპოვებისათვის. რუსი ნაციონალისტების აზრით, დემოკრატიაც იდეოლოგიაა მსგავსად კომუნიზმისა.
- **„The Clash of Civilizations and the Remaking of World Order“ - Samuel P. Huntington - 1996.**

ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის აღდგენა“, გამოცემის დღიდან საერთაშორიოს ურთიერთობათა კლასიკად იწოდება. მასში განხილულია გლობალური პოლიტიკის მამოძრავებელი ძალების გამჭრიახი და

მძლავრი ანალიზი. სამუელ ჰანტინგტონი განმარტავს, თუ რატომ წარმოადგენს ცივილიზაციებს შორის შეტაკებები ყველაზე დიდ საფრთხეს მსოფლიო მშვიდობისათვის. ავტორის აზრით, ცივილიზაციებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი არის საუკეთესო საშუალება ომისა და დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად.

- **„რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“ - ჩიქოვანი ნ. - 2006.**

ნაშრომის ერთ-ერთ თავში განხილული ერთანი კავკასიური სახლის იდეა და მისი რეალიზაციის მცდელობა XX-ს 90-იანი წლების დასაწყისში. კავკასიის რეგიონში არსებული რელიგიური განსხვავების მიუხედავად, მისმა თითოეულმა „მოსახლემ“ საკუთარი არჩევანი გააკეთა, რამაც ზეგავლენა იქონია რეგიონის თითოეული სახელმწიფოს სამომავლო განვითარებაზე.

- **„საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ - გაჩეჩილაძე რ. – 2018**

რევაზ გაჩეჩილაძე თავის ნაშრომში გვთავაზობს მისეულ ხედვას მე-20 და 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულების საქართველოს ისტორიისა და მის ირგვლივ არსებულ გეოპოლიტიკური ვითარების შესახებ. გათვალისწინებულია მსოფლიოს და, განსაკუთრებით, საქართველოს სამეზობლოს კონტექსტი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ნაშრომს ერთვის დანართები. საერთო გვერდების რაოდენობა - 167

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პროცესების და ინტეგრაციის შესაძლებლობების ისტორიულ და თეორიულ საფუძვლებს, კერძოდ კი განხილულია: კავკასიის რეგიონის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში; რეგიონული ინტეგრაციის არსი და მისი კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები; სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარების ისტორიული კანონზომიერებები. დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას წინ ერთვოდა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი. იგი ნელ-ნელა კარგავდა კონტროლს აღმოსავლეთ ევროპაში, ამას დაემატა კომუნისტური იდეოლოგიის დაცემა და საბოლოოდ კი საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა. შედეგად სამმა სამხრეთ კავკასიურმა ქვეყანამ, საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა შეძლეს დამოუკიდებლობის მოპოვება.რეგიონში მიმდინარე პროცესები დიდ ინტერესესს იწვევდა, როგორც მის შიგნით არსებულ სახელმწიფოებში, ასევე მის გარეთ არსებულ დიდ მოთამაშეებში. შედეგად კი, რეგიონი მისთვის არასასურველ შედეგამდე მიდიოდა.

რეგიონში არსებული დაძაბული სიტუაცია განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით. ქვეყნების განსხვავებულ საგარეო კურსთან ერთად, აღნიშვნის ღირსია, გარე ფაქტორების ჩარევა რეგიონის განვითარების პროცესში. ასევე, რეგიონის შიდა კონფლიქტები, ტერიტორიული დავები სახელმწიფოთა შორის და გაყინული კონფლიქტები. რეგიონის სამომავლო პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანი განვითარებისათვის აუცილებელია არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის, მსოფლიოს დიდი მოთამაშეები განუწყვეტლივ იბრძვიან. კავკასიის ინტეგრაციასთან დაკავშირებული თითოეული მოდელი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა წევრი ქვეყნების მშვიდობიან გარემოში სტაბილური განვითარება, უშედეგო აღმოჩნდა. როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, მოდელთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მათი პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა. კავკასიის ინტეგრაციის პრობლემა მდგომარეობს სხვადასხვა ინიციატორთა არაადეკვატურ ხედვაში. ტერიტორია, რომელიც ცივილიზაციათა შეჯახების ადგილს წარმოადგენს, შეუძლია გადაიქცეს მშვიდობის კუნძულად. სამშვიდო ხიდის მშენებლობა დამოკიდებულია: დიპლომატიურ ურთიერთობებზე,

ტრანსკომუნიკაციური საშუალებების გაღრმავებაზე, რელიგიურ ტოლერანტობასა და ცივილიზაციათა შორის დიალოგზე. ამ მხრივ კავკასიის რეგიონს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი ისტორიის განვითარების მანძილზე ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ბოლო წლებში მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ რეგიონის მიმართ მსოფლიოს დიდ აქტორებს თავიანთი მიზნები და ამოცანები გააჩნიათ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში შექმნილ ძალთა ბალანსს.

ნაშრომის მეორე თავში ვისაუბრეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორზე, როგორც რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. განვიხილეთ, საქართველოს დასავლური არჩევანი და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი; სომხეთის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებები; აზერბაიჯანის რეგიონული ურთიერთობების პრიორიტეტები.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას წარმართავენ, შესაბამისად გამოწვევებიც თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურა დასავლეთისაკენ გზის გაგრძელება. სომხეთი ისევ რჩება ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი და რუსეთზე დამოკიდებული. ხოლო, რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისმა ბუნებრივმა რესურსებმა მისცა ქვეყნას საშუალება არ იჩქაროს თავისი მკაფიო საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. აზერბაიჯანი მაქსიმალურად იყენებს ენერგო რესურსებს ქვეყნის სტატუსის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ქვყენებმა ეფექტურად უნდა წარმართონ საგარეო პოლიტიკა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

2008 წლის ომმა ძალიან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, მაგრამ მას არასდროს შეუწყვეტია სურვილი ნატოში გაწევრიანებაზე. საქართველო იმსახურებს ნატოში გაწევრიანებას. ჩვენ ჩვენი იდენტობით ევროპულ ოჯახს მივეკუთვნებით. ვიაზრებთ რა ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებსა და განვლილ ურთულეს გზას და ყოველივე ამის მიუხედავად მაინც გვსურს ევროპულ დემოკრატიულ გზაზე სიარული. ჩვენი სერიოზული დამოკიდებულება ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის, საქართველომ უამრავჯერ დაადასტურა, რაც გამოიხატა განხორციელებულ რეფორმებსა და წლების განმავლობაში ნატოს მისიებში მონაწილეობით. ასევე, თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს მიზნებშიც შედის საქართველოს წევრობა, რადგან ამით იგი ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის დარეგულირებას, რაც თავის თავში გულისხმობს იმ ენერგო სიკეეთეებსა და

სატრანსპორტო მაგისტრალების სტაბილურობას, რომელიც შეუძლია ამ რეგიონმა გაატაროს მთლიანი ევროპისათვის.

ასევე, უნდა აღინიშნოს, საქართველოს ურყევი პოზიცია და მოსახლეობის უმრავლესობის ნება ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისაკენ. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა ცდილობს გადადგას ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები.

სომხეთის სახელმწიფოსთან მიმართებაში დადგინდა, რომ ახალ მთავრობას მოუწევს ახალი რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, რათა უპასუხოს მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. მიუხედავად ირანის დამოკიდებულებისა, რომელიც გააჩნდათ მათ ყარაბაღის ომთან აუცილებელია ეფექტური სტრატეგიის შემუშავება, რათა სომხეთმა მოახერხოს კვლავ ურთიერთობების დალაგება ირანთან. ამ საკითხის პრიორიტეტულობა აშკარა გამოჩნდა მაშინ, როდესაც ევრაზიის კავშირსა და ირანს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცე გაიხსნა. ამით კიდევ ერთხელ უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სომხურ-ირანულ ურთიერთობას. სომხეთისათვის ალბათ ყველაზე ხელსაყრელია, რუსეთსა და ირანს შესთავაზოს სამმხრივი ფორმატი, სომხეთი-ირანი-რუსეთი, რომელიც თავის თავში ძალიან დაემსგავსება აზერბაიჯანი-ირანი-რუსეთის ფორმატს. ასევე, სომხეთი უნდა შეეცადოს როგორმე, ირანელ და ჩინელ პარტნიორებთან, ირანი-ჩინეთის ეკონომიკურ შეთანხმებაში ჩაერთოს. რაშიც კიდევ ერთხელ სჭირდება ირანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. საერთო ჯამში, სომხეთი ვერანაირად ვერ დაუშვებს ირანთან ურთიერთობის გაფუჭებას.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, დგინდება, რომ წინა ორი სახელმწიფოსგან განსხვავებით დაბალანსებული საგარეო პოლიტიკით გამოირჩევა. აზერბაიჯანის სახელმწიფომ, დასაწყისშივე განსაზღვრა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი და ეს გახლდათ დამოუკიდებლობის ხარისხი, რომელშიც იგულისხმებოდა ეროვნული ინტერესების წინ წამოწევა, რომელიც იქნებოდა ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარი. აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვაში ხელი შეუწო მის ტერიტორიაზე არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა. იგი აზერბაიჯანს

განიხილავდა, ეკონომიკური სივრცის დანაკლისის შესავსებ ალტერნატივას. კასპიის ზღვაში არსებული ნავთობი და მისი პოტენციური მარაგი გახდა აზერბაიჯანის სახლმწიფოს სტატუსის განმსაზღვრელი საერთაშორისო სისტემაში.

ნაშრომის მესამე თავში შევეხეთ, დიდი მოთამაშეების ინტერესებსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივებს. კერძოთ, ახალი მსოფლიო წესრიგი და რეგიონალიზაციის გაზრდილი პერსპექტივები; ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება, როგორც რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა;

მესამე თავზე მუშაობისას დადგინდა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პირობებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, მოუწევთ თავიანთი ორიენტირების გადასინჯვა. აღნიშნული ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილური განვითარების ჩამოყალიბებას. მართალია მსოფლიოს დიდი მოთამაშეები ყველაფერს აკეთებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად, მაგრამ წარმართული სწორი პოლიტიკის საშუალებით რეგიონის ქვყენებს შესწევთ ძალა, მათ წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების მოგვარებისა.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში ვითარება განსაკუთრებულად იძაბება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომელიც, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონსაც ეხება. ამ ყველაფერთან ერთად რეგიონში გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეებიც, რომლებსაც თავიათი ინტერესები და ამბიციები ამოძრავებთ სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში.

კვლევის ჰიპოტეზას წარმოადგენდა : სამხრეთ კავკასიის ქვეყნები - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ქვეყნებს წარმოადგენენ. მიუხედავად მათი საგარეო პოლიტიკის განსხვავებული ვექტორისა და სამხრეთ კავკასიით მსხვილი აქტორების

დაინტერესებისა, ამ ქვეყნებს შორის რეგიონული ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა მრავალწილად დამოკიდებულია ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებაზე, სავაჭრო ეკონომიკური და გლობალური სატრანზიტო პოტენციალის ერთობლივ გამოყენებაზე.

კვლევის ეტაპზე ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა :

- ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლის განსაზღვრა;
- რეგიონში მოქმედი აქტორების (აშშ, რუსეთი, ირანი, ჩინეთი, თურქეთი) ინტერესები;
- რა როლს თამაშობს ევროკავშირი რეგიონში მიმდინარე პროცესებზე;
- განვსაზღვროთ, ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის, დამოკიდებულება რეგიონის მიმართ;
- შევისწავლოთ, ირანის, თურქეთისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების განსახორციელებლად ავირჩიეთ ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფად კი ექსპერტები სამხრეთ კავკასიის საკითხებში. ექსპერტები შერჩეულ იქნენ საკვლევი საკითხის სფეციფიკიდან გამომდინარე.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად შევარჩიეთ ოთხი კითხვისგან შემდგარი კითხვარი და ჩავატარეთ ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, ხოლო სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება მოხდა შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, ექსპერტებით სამხრეთ კავკასიის საკითხებში, მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია.

თითოეული ინტერვიუ დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. ინტერვიუები ჩაიწერა აუდიო დიქტოფონზე. ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია ცალ-ცალკე დამუშავდა დეტალურად.

1. ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან, ჩაწერილია 2023 წლის აპრილში.

მამუკა არეშიძე - საქართველოს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი. ორგანიზაცია „კავკასიის'' დამფუძნებელი. საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ქვეკომიტეტის თავჯდომარე. გერმანიაში, ევროპული უსაფრთხოების სკოლის მსმენელი.

2. ინტერვიუ ვახტანგ მაისაიასთან, ჩაწერილია 2023 წლის აპრილში.

ვახტანგ მაისაია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი.

3. ინტერვიუ ირაკლი გოგავასთან, ჩაწერილია 2023 წლის იანვარში.

ირაკლი გოგავა - საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი.

4. ინტერვიუ სოსო მანჯავიძესთან, ჩაწერილია 2023 წლის თებერვალში

სოსო მანჯავიძე - ისტორიკოსი, ექსპერტი.

აღნიშნულის მისაღწევად, ნაშრომში გამოყენებულია ისეთი, კვლევის მეთოდი, როგორიც არის ემპირიული კვლევა. ამ მეთოდის საშუალებით, შევძელით ჩვენ წინაშე არსებული მიზნებსა და ამოცანებზე პასუხების მიღება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ოფიციალური დოკუმენტები, ცალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი. მათ შორის: ვესტფალიის ზავი, რომელიც გახლდათ ფუნდამენტური საფუძველი ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში. ასევე ევროკავშირის ეუთოს, ნატოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციების ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რეგიონში მიმდინარე პროცესებთან.

საკითხის უკეთ გაცნობაში უდიდესი, როლი ითამაშა ინტერნეტ რესურსებმა, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს შევადარეთ სამეცნიერო ნაშრომებსა თუ

კვლევებში არსებული ინფორმაციები. მოპოვებული უამრავი მასალის მეშვეობით შევძელით სამხრეთ კავკასიაში არსებულ მოვლენებზე განსხვავებული ინფორმაციების მოძიება და შეფასება. ფაქტებისა და განვითარებული მოვლენების ერთმანეთზე შედარების საშუალებით, განვიხილეთ, დასავლური და აღმოსავლური ინტერესები რეგიონისადმი. ამ ყველაფერმა კი ნაშრომს განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა.

საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვისათვის, სპეციალურად შერჩეულ იქნა სხვადასხვა სახის ექსპერტი, რადგან საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მიგვეღო ერთმანეთისაგან განსხვავებული და ამომწურავი ინფორმაცია. როგორც ინტერვიუებიდან გავარკვიეთ, ექსპერტთა აზრები ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება.

საკითხის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ შემთხვევის შესწავლის მეთოდი (Case Study). რომლის მეშვეობითაც დეტალურად შევისწავლეთ სხვადასხვა ფაქტი. ეს მეთოდი გამოგვადგა კონფლიქტების შესწავლის ეტაპზე. შეგვექმნა სრული შთაბეჭდილება არსებულ და გაყინულ კონფლიქტებზე, მათ მაპროვოცირებელ და გამომწვევ მიზეზებზე. განვსაზღვრეთ მისი სამომავლო მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც ზეგავლენას იქონიებს, არამარტო სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, არამედ მთელ ტრანსნაციონალურ სამყაროზე.

შედეგად, ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით, კვლევის თითოეულ ეტაპზე ყურადღებით იქნა შესწავლილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და მათ გარშემო განვითარებული მოვლენები. განისაზღვრა ის დიდი რეგიონის მოთამაშეები, რომლებსაც საკუთარი ინტერესები და პრეტენზიები გააჩნიათ რეგიონის მიმართ. სამომავლო პერსპექტივაში განხილულ იქნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ვექტორები. ისტორიული წყაროების გაცნობით, ერთმანეთს შევადარეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარების ეტაპები. თუ რა გზა განვლეს მათ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღემდე. ეს

ყველაფერი კი დაგვეხმარა სამხრეთ კავკასიის რეგიონის საერთო სურათის ჩამოყალიბებაში.

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში, ნაშრომის სრულყოფისა და საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, გამოვიყენეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალგზის აპრობირებული გამოკითხვის მეთოდი - ემპირიული კვლევა. კვლევის მიზანია გავაანალიზოთ, თუ რას ფიქრობენ სამხრეთ კავკასიის საკითხების ექსპერტები, მეცნიერები და არსებულ საკითხში ღრმად გათვიცნობიერებული პროფესორები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ამასთანავე, კვლევა მიზნად ისახავს დავადგინოთ, თუ რომელ შემაფერხებელ ფაქტორებს გამოყოფენ ექსპერტები სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარების პირობებში. ასევე, როგორ აფასებენ ისინი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ინტეგრაციის პერსპექტივებს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში. ექსპერტებმა განიხილეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტები და მათი გამომწვევი მიზეზები, ისაუბრეს მათი გადაჭრის სავარაუდო გზებზე.

დასკვნა

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონის დიდი მოთამაშეების ინტერესებსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივებზე. სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს დიდი მოთამაშეებისათვის. რეგიონის გავითარებასა და სტაბილურობაზე ზეგავლენას ახდენს, როგორც რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესები, ასე მსოფლიოში განვითარებული მოვლენები.

სამხრეთ კავკასია ცენტრალური აზიის და ევროპის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთთან დამაკავშირებელი უძველესი რეგიონია. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონი ყოველთვის ექცეოდა დიდი ქვეყნების ყურადღების ცენტრში. თავის მხრივ, მეზობელი სახელმწიფოები კი ცდილობდნენ, რომ ყველას თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიის ინტერესები გაეტარებინათ რეგიონში. ხშირად იცვლებოდა ვითარება, მაგრამ გეოსტრატეგიული ინტერესები თანდათან მატულობდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონში პატარა ქვეყნები შეზღუდულნი იყვნენ პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური თვალსაზრისით, რაც განაპირობებდა მათ დახმარებას. მაგრამ მეზობელ სახელმწიფოებს აღებული ჰქონდათ განსხვავებული პოლიტიკური კურსი, რაც რეგიონის განვითარებისთვის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა. ასევე, აღსანიშნავია რეგიონში ტერიტორიული დაპირისპირებები ისეთ დაინტერესებულ ქვეყნებს შორის, როგორიცაა: რუსეთი, აშშ–ი და თურქეთი, რომლებიც ცდილობდნენ რეგიონში თავისი ინტერესების გატარებასა და გავლენების გაძლიერებას.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სამხრეთ კავკასიურმა ქვეყნებმა ერთმანეთისაგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკა აირჩია, სწორედ ამ საგარეო ორიენტაციებზე კონტროლი დიდი მოთამაშეების მხრიდან ხორციელდებოდა კონფლიქტებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არავინ არ ინტერესდებოდა კონფლიქტების მოგვარების გზების პოვნით. თითოეული მათგანი ცდილობდა კონფლიქტების გაყინვას. სწორედ ისეთ მდგომარეობას, რომელსაც გაყინული კონფლიქტი ჰქვია, სხვადასხვა დიდ აქტორებს აძლევთ შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად. აქ ვგულისხმობთ, როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ დიდ მოთამაშეებს.

ტრანსრეგიონულ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი მიღებულ იქნა სწორედ ამ კონფლიქტებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოზე გამვალი ენერგო მატარებელი, რომლის განხორციელებაც არ მოხდებოდა, რომ არა, ყარაბაღის კონფლიქტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულმა კონფლიქტმა საქართველოს გარკვეული დივიდენდები

მოუტანა. სწორედ ეს გახლავთ პოლიტიკის ცინიზმი. შესაძლოა სხვისმა უბედურებამ შენ სიკეთე მოგიტანოს.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, იგი შეგვიძლია შევაფასოთ ბალანსის დარღვევით. 30 წლის განმავლობაში დალაგებული ძალთა ბალანსი ჩამოიშალა. აქედან გამომდინარე, მდგომარეობა ძალიან გართულდა და სამომავლო პერსპექტივა ბუნდოვანი გახადა. რუსეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის შეცდომების წყალობით, თურქეთი 100 წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა რეგიონში პოლიტიკურ-სამხედრო თვალსაზრისით. ამჟამად სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარეობს, რუსეთის ინტერესების შემცირება, ამერიკის შეერთებული შტატების განდევნა და თურქული ინტერესების გატარება. ერთადერთი ჩინეთის სახელმწიფო დარჩა რეგიონში, რომელსაც ჯერჯერობით თურქული ინტერესები ვერ სჯობნის.

ჩინეთი, სხვა დიდი ძალებისგან განსხვავებით, არ ახვევს თავს სხვა სახელმწიფოებს თავის იდეოლოგიას, მართვის და ცხოვრების წესს. მისი ინტერესი მკაფიოდ ეკონომიკურია და დაკავშირებულია: ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობასთან, ჩინური საქონლის ტრანსპორტირების მყარი დერეფნების მოძიებასთან და ჩინური საქონლის გასაღების ხელშეწყობასთან. ამისთვის ის საკმაოდ ეფექტურად იყენებს ჩინეთის სახელმწიფო კორპორაციებს და აზიის განვითარების ბანკს. ჩინეთის მთავარი სავაჭრო მაგისტრალი ოკეანეზე გადის, სადაც ვითარებას აკონტროლებს აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალები. კონფლიქტის ან ომის შემთხვევაში საზღვაო მარშრუტი მყისიერად იქნება გადაკეტილი. ამიტომ ჩინეთისათის აქტუალურია ე.წ. ახალი აბრეშუმის გზა ანუ მყარი სახმელეთო სავაჭრო კორიდორი, რომელიც ფორსმაჟორის შემთხვევაშიც იმუშავებს. ამისათვის მათ მოახდინეს მრავალტრილიონიანი მეგა პროექტის „ერთი გზა - ერთი სარტყელი“ ინიცირება, რაც გულისხმობს ჩინეთისთვის სამხელეთო სავაჭრო მარშრუტების დივერსიფიცირებას. ერთ-ერთი ასეთი მარშრუტი სწორედ სამხრეთ კავკასიაზე გადის და ის მოიცავს ვექტორს: ჩინეთი-ცენტრალური აზია-აზერბაიჯანი-საქართველო-შავი ზღვა-ევროპა. ამიტომაც მათ გამოხატეს თავის დროზე ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობის ინტერესი. ამავე დროს, ჩინეთი ახორციელებს საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის ყველაზე რთული

მონაკვეთის - რიკოთის მონაკვეთის მშნებელობას, რომლის ინვესტორი აზიის განვითარების ბანკია, სადაც მთავარი კონტრიბუტორები სწორედ ჩინელები არიან.

საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობა. მათ უნდა შეძლონ ერთნაირი პოზიცის წარმოჩენა გლობალურ პოლიტიკასთან მიმართებაში. მაგრამ, მსხვილი მოთამაშეები ყველაფერს გააკეთებენ ამის შესაჩერებლად.

რაც შეეხება პერსპექტივას, იგი საკმაოდ ბუნდოვანი და რთულია. ამაში არამარტო საგარეო აქტორებს ვგულისხმობთ, არამედ რეგიონში არსებულ სახელმწიფოებში არსებულ მდგომარეობას. აზერბაიჯანი და თურქეთი მიდიან ერთი გზით. ანკარის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამერიკული გავლენების შემცირება რეგიონში, აღარ ვსაუბრობთ რუსეთთან დამოკიდებულებაზე, რომელიც უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა. მაგრამ რუსეთისათვის, რომელსაც სამხრეთ კავკასიასთან რამდენიმე სახის ინტერესი გააჩნია, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული, უსაფრთოების, ენერგეტიკული, ეკონომიკური და კულტურულ-ექსპანსიონისტური, არ აპირებს თავისი პოზიციების დათმობას. რუსეთის მთავარი შემოსავალი ბუნებრივ აირს და ნავთობს მოაქვს. სამხრეთ კავკასიაში კი აზერბაიჯანია, რომელიც ნავთობსაც და ბუნებრივ არის მოიპოვებს, ხოლო საქართველო მის ტრანსპორტირებას ახდენს თურქეთის და ევროპის მიმართულებით. რუსეთი ამგვარ მარშრუტებს კონკურენტად აღიქვამს, რომელიც მის თითქმის მონოპოლიურ მდგომარეობას ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე საფრთხის ქვეშ აყენებს. ამიტომაც ის წინააღმდეგი იყო იმ მილსადენების, რომელიც უკვე გავიდა სამხრეთ კავკასიაში და ეწინააღმდეგება პოტენციურ დიდ ენერგეტიკულ პროექტებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანია რუსეთი ჰყავდეთ ერთგვარ რკალში, რაც აღკვეთავს მათ ექსპანსიას. 1943 წელს ამერიკელმა მკვლევარმა სპაიკმენმა წამოაყენა რუსეთის გარშემო საიზოლაციო რკალის პოლიტიკის აუცილებლობა. ამას შემდეგ უწოდეს „ჰარტლენდის“ და „რიმლენდის“ კონცეფცია. იმავეს უწოდებენ „ანაკონდას მარყუჟს“. ამ ყველა კონცეფციის მიზანი არის რუსეთის

იზოლირება მსოფლიო ოკეანებზე გასასვლელებისგან. ამ კონცეფციით, სამხრეთ კავკასია, თურქეთი, უკრაინა, ცენტრალური აზია შეადგენს სწორედ იმ იზოლაციურ სარტყელს, რომელმაც არ უნდა დაუშვას რუსეთის გაძლიერება, რაც არ გამორიცხავს დროდადრო ამ სუბიექტების პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს რუსეთთან. აშშ-სთვის პროგრამა მინიმუმია, რომ არ მოხდეს სამხრეთ კავკასიით რუსეთის გაძლიერება, ხოლო პროგრამა მაქსიმუმი კი სამხრეთ კავკასიური ქვეყნების რუსეთის წინააღმდეგ აქტიურ ქმედებებშია, სადაც არც სამხედრო შემადგენელი არ არის გამორიცხული. ამის მკაფიო მაგალითია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მიმიდნარე მოვლენები უკრაინაში.

ყურადღებას იპყრობს ასევე, ირანის დამოკიდებულება რეგიონის მიმართ. ირანის ინტერესს წარმოადგენს ჩრდილოეთ-სამხრეთის სავაჭრო ღერძის გახსნა და ამოქმედება, რაც საშუალებას მისცემს მას სავაჭრო ვექტორი ინდოეთი-ირანი-სომხეთი-საქართველო-შავი ზღვა-ევროპა აამუშაოს. ირანი, ფაქტობრივად, ავტარქიული სახელმწიფოა და აწარმოებს ფართო სასაქონლო ნომენკლატურას, რომლის გასაღებასაც ცდილობს სამხრეთ კავკასიაში. სახეზეა ერთგვარი დაძაბულობა აზერბაიჯანთან ურთიერთობაში, რადგან ის ეწინააღმდეგება ზანგეზურის სატრანსპორტო კორიდორის იმ ფორმით გახსნას, როდესაც ირანი თამაშგარედ დარჩება.

საერთაშორისო ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, ჩართულია რეგიონში მიმდინარე პროცესებში. შეგვიძლია გამოვყოთ ასევე, საფინანსო და ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ეს ორგანიზაციებია: ევროპის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროკავშირი და ა.შ. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აქტიურობას იჩენს ამა თუ იმ რეგიონში, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ ინტერესის უკან დგას კონკრეტული სახელმწიფო. ამიტომ ეს ორგანიზაციები არიან ამ სახელმწიფოთა ინტერესების გამტარებლები. თუ დავაკვირდებით მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ეს მოსაზრება არც თუ ისე შორსაა რეალობასთან.

პოლიტიკური სურათი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში დგება, შეგვიძლია მსგავსად წარმოვიდგინოთ. სომხეთის სახელმწიფოებრიობას სერიოზული გამოწვევა ემუქრება. იმ შემთხვევაში, თუ სომხეთი, როგორც რეგიონის ერთ-ერთი მოთამაშე, თუნდაც დაბალი ინტენსივობისა, კიდევ უფრო დაეცემა, შედეგად საქართველო მარტო დარჩება უზარმაზარი გამოწვევების წინაშე. ამას დაემატება

ისიც, რომ მთელი ყურადღება გადმოტანილ იქნება საქართველოზე. სწორედ ეს მოწმობს რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევაზე.

სადისერტაციო ნაშრომში წამოყენებული ჰიპოთეზის მიხედვით დადგინდა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მნიშვნელოვან ქვეყნებს წარმოადგენენ გეოპოლიტიკურ არეალში, მიუხედავად მათი საგარეო პოლიტიკის განსხვავებისა, რომელსაც განსაზღვრავს რეგიონში არსებული სხვადასხვა აქტორები (აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი). ამ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია ძირითადად ტერიტორიული საკითხების მოგვარებაზე, სავაჭრო ეკონომიკური და მსოფლიო სატრანზიტო პოტენციალის ერთობლივად გამოყენებაში.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოკვიუმი N1 - სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პროცესების და ინტეგრაციის შესაძლებლობების ისტორიული და თეორიული საფუძვლები
2. კოლოკვიუმი N2 - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორი პოსტსაბჭოთა პერიოდში, როგორც რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი
3. კოლოკვიუმი N3 - დიდი მოთამაშეების ინტერესები და სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

1. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. **XIX International Scientific and Practical Conference -Methodology of modern scientific research -** ''The different foreign political vector of the south Caucasus countries in the post-soviet period as a factor hindering regional integration''
2. **INNOVATIONS IN SCIENCE: MODERN DIMENSION** – ''The new world order and the interests of big players in the South Caucasus region''
3. **Modern Journal of Social Sciences and Humanities** – ''Forms of state administration in the South Caucasus region''
4. **INTERNATIONAL JOURNAL OF BUSINESS DIPLOMACY AND ECONOMY –** ''Peculiarities of foreign policy of South Caucasus countries''
5. **ჟურნალი პოლიტოლოგოსი** N6- ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

Caucasus International University

Baqari Gvazava

Peculiarities of political processes in the South Caucasus and perspectives of regional integration

of Political Science PhD

Presented to obtain an academic degree

ANNOTATION

Tbilisi, 0141, Georgia

2024

ANNOTATION

The aim of the doctoral thesis is to analyze in detail political, cultural, economic and social issues in the South Caucasus region. To clearly demonstrate its importance in the formation of the European geopolitical space and the challenges of contemporary regional security.

The paper focuses on the interests of the big players in the region and the perspectives of regional integration of the South Caucasus. The South Caucasus, with its geopolitical location, has always been of great interest to the world's big players. The development and stability of the region is influenced by both the processes taking place within the region and the world events.

In the conditions of the establishment of a new world order, the situation between the United States of America and the Russian Federation is becoming more and more tense. New players also appeared in the South Caucasus region. The development of the region is hindered by the different foreign policy courses of the existing countries, as well as active and frozen conflicts. South Caucasus countries must respond quickly and efficiently to the challenges they face.

The introductory part of the doctoral thesis consists of the relevance of the research topic, hypothesis, research questions, tasks and research objectives. Using the research methods and methodology, the scientific novelty and practical importance of the work are presented.

One of the research methods was a semi-structured, in-depth interview, according to which the experts and specialists of the field were interviewed. During the evaluation of the interviewees, different opinions about the research topic were revealed. All this helped us to see the issue from different angles and better understand it.